საქართველოს მთავრობის

დადგენილება №180

2016 წლის 18 აპრილი

ქ. თბილისი

თოვლზე/ყინულზე სასრიალო ზონაში (ტერიტორიაზე) სასრიალო ტრასით სარგებლობის (მოძრაობის/სრიალის) უსაფრთხოების წესების დადგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოს განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1

„საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ 2016 წლის 19 თებერვლის №4789-IIს საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თოვლზე/ყინულზე სასრიალო ზონაში (ტერიტორიაზე) სასრიალო ტრასით სარგებლობის (მოძრაობის/სრიალის) უსაფრთხოების წესების დადგენის უფლებამოსილების მქონე ორგანოდ განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 2

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 2 კვირის ვადაში დაადგინოს დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**